



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05	გვერდების რაოდენობა: 1/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	--	--



აკრედიტაციის ერთიანი ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

PL - 05

აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის

შემუშავებულია:

გადახდილია:

დამტკიცებულია:

ნესტან მგელაძე
სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის კომიტეტი

მალხაზ ხარეზავა
გენერალური დირექტორი მ.შ.



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05	გვერდების რაოდენობა: 2/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	--	--

1. შესავალი

1.1 ზოგჯერ ბაზარი ითხოვს რომ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (შშოს) აკრედიტაცია შეესაბამებოდეს სექტორულ სფეროში გაწერილ სპეციალურ მოთხოვნებს. სექტორული სქემები წარმოიქმნა იმ სფეროებიდან გამომდინარე, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ სექტორულ დამატებებს ან დამატებით სპეციფიკაციებს იმ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც გამოიყენება შშო-ებისა და მათი საქმიანობების შესაბამისობის შეფასებისთვის. ბაზრის სხვადასხვა ოპერატორების (მომხმარებლები, მიმწოდებლები, ფირმები, რეგულატორები ან სხვა დაინტერესებული მხარეები) საჭიროებები წარმოადგენს სექტორული სქემების შექმნის ამოსავალ წერტილს.

1.2 EA-მ განსაზღვრა: პირობები, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია ჰქონდეს ფორმალური ურთიერთობა სქემის მფლობელებთან; ზოგადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც სექტორული სქემები შეიძლება ჩაითვალოს MLA-ს ფარგლებში; EA-სა და სქემის მფლობელს შორის ურთიერთობის ხასიათი და ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი; მის დოკუმენტში EA-1/22:2016 EA-ს პოლიტიკა შესაბამისობის შეფასების სქემებთან (სექტორულ სქემებთან).

1.3 საკ-ი დააკმაყოფილებს EA-ს პრინციპებს.

2. სფერო

ეს პოლიტიკა დაფუძნებულია EA-1/22:2016 [2] EA-ს პოლიტიკა შესაბამისობის შეფასების სქემებთან (სექტორულ სქემებთან) და ადგენს საკ-ის დებულებებს ამ დოკუმენტის მოთხოვნების განხორციელებისთვის.

3. ტერმინოლოგია

3.1 შესაბამისობის შეფასების სქემა (შშს): ამ დოკუმენტში, შესაბამისობის შეფასების სქემა განიხილება, როგორც დოკუმენტების ნაკრები, რომელიც ადგენს:

- I) მოთხოვნებს/საცნობარო დოკუმენტებს (მაგ. საგამოცდო პროცედურები, რეგულირებული პროცედურები, რომლის მიხედვითაც ტარდება ინსპექტირება ან სერტიფიკაცია და ა.შ.) რომლებიც უნდა გამოიყენონ შესაბამისობის შემფასებელმა ორგანოებმა.
- II) მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ კრიტერიუმებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების საქმიანობის რეჟიმის, თანამშრომლების, აღჭურვილობის, ანგარიშებისა და ა.შ. დაკავშირებით.
- III) მოთხოვნებს იმ ორგანოებისთვის რომლებიც აფასებენ შშო-ებს (აკრედიტაციის ორგანოები, ან სხვა ორგანოები, რომლებიც აფასებენ შშო-ებს).

3.2 სქემის მფლობელი (სმ): ორგანიზაცია, რომელმაც დააფუძნა შშს. მაგალითად:



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05	გვერდების რაოდენობა: 3/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	--	--

- სტანდარტიზაციის ორგანოები;
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები;
- საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები;
- ორგანიზაციები, რომლებსაც იყენებენ შშოს მომსახურებას
- ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ ან ყიდიან პროდუქტებს, რომლის შესაბამისობაც უნდა შეფასდეს.

3.3. სპეციფიკური მოთხოვნები სქემისათვის (აკრედიტაციის ორგანოებისათვის): ISO/IEC 17011-ის [2] სპეციფიკური მოთხოვნები სქემის მფლობელის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სქემისთვის.

3.4 სპეციფიკური მოთხოვნები სქემისათვის (შშო-სთვის): სქემის მფლობელის მოთხოვნები. შშო-ს დონეზე ეს მოთხოვნები შეიძლება გასცდეს, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ან გამორიცხავდეს ნებისმიერი სტანდარტის მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება აკრედიტაციისთვის (ISO/IEC 17025 [3], ISO/IEC 17020 [4], და ა.შ.).

3.5 EA MLA სფერო

EA GA გენერალური ასამბლეის მიერ განსაზღვრული ყველა აკრედიტაციის საქმიანობა.

4. საკ-ის პოლიტიკა

4.1. მოთხოვნები შესაბამისობის შეფასების სქემებისათვის (შშს)

4.1.1 მოთხოვნები შესაბამისობის შეფასების სქემებისათვის განსაზღვრულია EA-ს დოკუმენტში EA 1/22:2016 [2] EA-ს პოლიტიკა შესაბამისობის შეფასების სქემებთან (სექტორულ სქემებთან). (ხელმისაწვდომია EA-ს ვებ-გვერდზე: www.european-accreditation.org).

4.1.2 EA-მ წამოაყენა შემდეგი წინაპირობები შშს-ს მიღებისათვის:

- ა) შშს-ს უნდა ჰქონდეს ბაზრის აშკარა მხარდაჭერა;
- ბ) შშს დაფუძნებული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებზე, რომლებიც გამოიყენება აკრედიტაციისათვის. სმ-ს მოთხოვნები შშო-ს მიმართ აუცილებლად უნდა მოიცავდეს EA-ს მიერ მიღებულ შემდეგ დოკუმენტებთან შესაბამისობას, ესენია ISO/IEC 17025 [3], ISO 15189 [5], ISO/IEC 17020 [4], ISO/IEC 17065 [6], ISO/IEC 17021 [7], ISO/IEC 17024 [8] და შესაბამისი EA, ILAC და IAF სახელმძღვანელო დოკუმენტები. სქემის მფლობელის მოთხოვნები შშო-ს დონეზე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ან გამორიცხავდეს ზემოთხსენებული დოკუმენტების ნებისმიერი მოთხოვნებს;
- გ) შშს უნდა განვითარდეს საჭირო ექსპერტების და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით;



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05	გვერდების რაოდენობა: 4/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	--	--

დ) ტექნიკური თვალსაზრისით შშს უნდა იყოს შესაბამისი აკრედიტაციისათვის.

4.1.3 EA-ს პოლიტიკა EA-1/22:2016[2] ასევე განსაზღვრავს იმ პირობებს რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შშს სანამ შევა MLA-ს ფარგლებში.

4.1.4 სახელმძღვანელო პრინციპები იმის თაობაზე თუ როგორ დაიწეროს ნორმატიული დოკუმენტები, როგორც სტანდარტები, ტექნიკური სპეციფიკაციები, რეგულაციები და ა.შ., რომელიც მოიცავს მოთხოვნებს შესაბამისობის შეფასებისათვის მოცემულია ISO/IEC 17007:2009 შესაბამისობის შეფასება – სახელმძღვანელო შესაბამისობის შეფასებისთვის შესაფერისი ნორმატიული დოკუმენტების პროექტირებისთვის.

4.2 საკ-ის მიერ შშს-ს შეფასება

4.2.1 შშს-ს შეფასება წარმოადგენს საკ-ის ტექნიკური შემფასებლებისა და ექსპერტების მიერ ჩატარებული შეფასების ნაწილს. საჭიროების შემთხვევაში საკ-მა შეიძლება გამოიყენოს ტექნიკური კომიტეტები და სპეციალური სამუშაო ჯგუფები კონკრეტული დავალებებისათვის. ექსპერტები შესაბამისი ორგანიზაციებიდან შესაძლოა ასევე იყვნენ მოწვეულნი სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად, რათა მოხდეს ინტერესების დაბალანსება.

4.2.2 შშს-ს შეფასებისას, საკ-მა უნდა შეაფასოს შემდეგი ძირითადი ასპექტები:

- ა) სქემის აშკარა ბაზრის მხარდაჭერა დაინტერესებული მხარეების მხრიდან;
- ბ) შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორცაა ISO/IEC 17025 [3], ISO 15189 [5], ISO/IEC 17020 [4], ISO/IEC 17065 [6], ISO/IEC 17021 [7], ISO/IEC 17024 [8] და შესაბამისი EA, ILAC და IAF სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- გ) მოთხოვნები შშო-ს დონეზე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ან გამორიცხავდეს ზემოთხსენებული დოკუმენტების ნებისმიერი მოთხოვნებს;
- დ) აქვს თუ არა სმ-ს სქემის სპეციფიკური მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოსათვის; თუ აქვს, ეწინააღმდეგება თუ არა ეს მოთხოვნები EA-1/22:2016-ის [2] 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5 პუნქტებს;
- ე) ტექნიკური თვალსაზრისით შშს-ს შესაფერისობა აკრედიტაციისათვის.

4.2.3. თუ საკ-ი სმ-სთან თანამშრომლობით ეროვნულ დონეზე ჩათვლის რომ შშს გავლენას ახდენს ევროპის ან სხვა ქვეყნების ბაზარზე, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს EA-ს და სხვა დაკავშირებულ აკრედიტაციის ორგანოებს და ასევე რეკომენდაცია გაუწიოს სმ-ს რომ დაუკავშირდეს EA-ს.

4.2.4. შშს-ს მიღებისას საკ-ს შეუძლია სმ-ს სთხოვოს:

- შექმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი საკ-ის ტექნიკური კომიტეტების წესების ფარგლებში;
- შექმნას შემფასებელთა სია, რომლებიც აღიარებულნი არიან სქემის მფლობელის მიერ, და



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05	გვერდების რაოდენობა: 5/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	--	--

- რომელსაც საკ-ი გამოიყენებს შეფასებისთვის კონკრეტული სქემისათვის;
- შეთანხმდეს სხვა კავშირებზეც საკ-სა და სმ-ს შორის, როგორცაა ინფორმაციის გაცვლა, დაკავშირებული მხარეების მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.

5. სქოლიო

- [2] EA-1/22:2016 - პოლიტიკა შესაბამისობის შეფასების სქემებთან,
- [2] ISO/OEC 17011 - შესაბამისობის შეფასება. საერთო მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოებისადმი, რომლებიც ატარებენ შესაბამისობის შეფასების ორგანოების აკრედიტაციას;
- [3] ISO/IEC 17025 - საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი;
- [4] ISO/IEC 17020 - შესაბამისობის შეფასება. მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის;
- [5] ISO 15189 - სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხსა და კომპეტენციასთან დაკავშირებით;
- [6] ISO/IEC 17065 - შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები პროდუქტის, პროცესებისა და მომსახურების სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ;
- [7] ISO 17021 - შესაბამისობის შეფასება. მოთხოვნები ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მენეჯმენტის სისტემების აუდიტსა და სერტიფიკაციას;
- [8] ISO 17024 - შესაბამისობის შეფასება - ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ.



<p>აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის</p> <p>PL - 05</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 6/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018</p>
--	---	--

საკ-ის პერსონალის მერ პროცედურის გაცნობის ფურცელი

#	სახელი და გვარი	ხელმოწერა	თარიღი
1	ნესტან მგელაძე		20.09.2018
2	მერი დეკანოიძე		20.09.2018
3	მადონა ჯორბენაძე		20.09.2018
4	ალა კუგუშევა		20.09.2018
5	ელენე კალანდაძე		20.09.2018
6	ალექსანდრე გაბუნია		20.09.2018
7	ლერი გაჩეჩილაძე		20.09.2018
8	მირიან მიქელაძე		20.09.2018
9	გიორგი შიოლაშვილი		20.09.2018
10	ზურაბ ჩალაძე		20.09.2018
11	მარიამ კიკნაძე		20.09.2018
12	მარიამ მესხიშვილი		20.09.2018
13	ლეილა თევზაძე		20.09.2018
14	ლალი მალნარაშვილი		20.09.2018
15	ლევან არზრუმელაშვილი		20.09.2018

ცვლილებების ფურცელი



<p>აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა სექტორული სქემებისათვის PL - 05</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 7/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018</p>
--	---	--

გადახედვა	თავი, მუხლი, პუნქტი	თარიღი	ცვლილების შინაარსი	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
1		03.10.2016	პოლიტიკა ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურით	
1	მუხლი 5	03.10.2016	დაემატა „სქოლიო“	
2		27.012.017	გამახლიდა EA-ს დოკუმენტები	
		20.09.2018	გადაიხედა სრულად	